6539/3-81/23 2 06092023

6539/3-81/23
06-09-2023

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,**

**ბატონ ვახტანგ გომელაურს,**

**ბატონო ვახტანგ,**

შეგახსენებთ, რომ 2023 წლის 9 აგვისტოს, მოგმართეთ დეპუტატის კითხვით, რომელზე პასუხიც დღემდე არ მიმიღია. გამომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით, რომელზეც, რეგლამენტის მიხედვით, დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა. ამავე მუხლის თანახმად პასუხს ხელს უნდა აწერდეს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი ან საქართველოს მთავრობის შესაბამისი წევრი.

2022 წლის 30 აგვისტოს, მოგმართეთ სადეპუტატო კითხვებით (7915/3-81/22). ნაწილობრივი პასუხი მივიღე 5 დან მხოლოდ 3 კითხვაზე (1-13073/22). შესაბამისად კვლავ მოგმართავთ კითხვებით, რომელზეც პასუხი არ მიმიღია:

1. აქვს თუ არა თქვენს უწყებას, ან, თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რომელიმე სახელმწიფო უწყებას შესწავლილი - რა ფინანსურ რესურსთან არის დაკავშირებული საქართველოში სახანძრო-სამაშველო დანიშნულების საავიაციო პარკის შექმნა. ასეთი ფინანსური ან სხვა ტიპის გათვლების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მომაწოდოთ სრული ინფორმაცია.

2. გაქვთ თუ არა შესწავლილი თქვენ, ან თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რომელიმე სახელმწიფო უწყებას, სხვა ქვეყნების გამოცდილება, ან არსებობს თუ არა რაიმე გეგმა-მონახაზი, მთავრობის არსებულ სტრუქტურაში-სად არის მიზანშეწონილი სახანძრო-სამაშველო ავიაციის არსებობა (რომელიმე სამინისტროს დაქვემდებარებაში, ცალკე უწყებად, და ა.შ.)

**პატივისცემით,**

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი